



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო  
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ბრძანება N 110

ქ. თბილისი

11/04/2018

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეებს შორის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების ან/და მათი დაფინანსების შედეგად გაფორმებული ხელშეკრულებების განხორციელებაზე საკოორდინაციო უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2017 წლის 13 იანვრის №1/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (შემდგომში - დეპარტამენტი) თავმჯდომარის მოადგილეებს შორის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების ან/და მათი დაფინანსების შედეგად გაფორმებული ხელშეკრულებების განხორციელებაზე კოორდინაცია განისაზღვროს შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის - **ნუგზარ გასვიანის** საკოორდინაციო პროექტებია:

ა.ა) იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA) მიერ დაფინანსებული აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პროექტი (EWHIP) (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2009 წლის 25 დეკემბრის №2505-რს დადგენილებით);

ა.ბ) იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA) მიერ დაფინანსებული აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მე-2 პროექტი (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 27 აპრილის №5027-III დადგენილებით);

ა.გ) მსოფლიო ბანკის (WB) მიერ დაფინანსებული აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მე-4 პროექტი (EWHIP4) (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 10 ივლისის №809-რს დადგენილებით), გარდა ამ პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი:

ა.გ.ა) ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთის მშენებლობისთვის დეტალური პროექტის მომზადების მომსახურების შესახებ EWHIP-4/CS/QCBS-03 ხელშეკრულებისა;

ა.გ.ბ) ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისა და დეტალური პროექტის მომზადება რუსთავი-წითელი ხიდის და რუსთავი-სადახლოს გზების განახლების შესახებ EWHIP-4/CS/QCBS-05 ხელშეკრულებისა;

ა.გ.გ) ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადება თბილისი-ბაკურციხის, წნორი-ლაგოდეხის გზების განახლებისათვის და დეტალური პროექტის მომზადება თბილისი-საგარეჯოს და საგარეჯო-ბაკურციხის გზების განახლების შესახებ EWHIP-4/CS/QCBS-06 ხელშეკრულებისა;

ა.გ.დ) ჟინვალი-ლარსის მონაკვეთის წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისა და ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადებისა და ქვეშეთი-კობის მონაკვეთის მშენებლობისათვის დეტალური პროექტის მომზადების შესახებ EWHIP-4/CS/QCBS-04 ხელშეკრულებისა;

ა.გ.ე) წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების და ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადება სამტრედია-ზუგდიდის შემოვლითი გზისთვის (ანაკლიის ღრმაწყლოვან პორტთან მისასვლელი გზის ჩათვლით) EWHIP-4/CS/QCBS-07 ხელშეკრულებისა;

ა.გ.დ) დროზე დაფუძნებული საკონსულტაციო მომსახურების EWHIP-4/CS/ICS-10 ხელშეკრულებისა;

ა.დ) ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ დაფინანსებული სადახლო - ბაგრატაშენის ხიდის პროექტი (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 9 მარტის №356-III დადგენილებით);

ა.ე) არაბთა ეკონომიკური განვითარების ქუვეითის ფონდის მიერ დაფინანსებული ბათუმი-ახალციხის გზის პროექტი (ხულო-გოდერძის მონაკვეთი) (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტი 2017 წლის 9 მარტის №357-III დადგენილებით);

ა.ვ) აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ დაფინანსებული საგზაო დერეფნის საინვესტიციო პროგრამა - პროექტი I (RCIP) (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2009 წლის 17 ნოემბრის №2087 -II ს და 2012 წლის 25 მაისის №6298-IX დადგენილებებით) გარდა ამ პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი:

ა.ვ.ა) დეტალური პროექტის, სატენდერო დოკუმენტაციის, გარემოზე ზემოქმედების შეფასების, მიწის შესყიდვისა და განსახლების დეტალური გეგმის მომზადება ხევი-უბისა-შორაპანი-არგვეთა (E-60 ავტომაგისტრალი) გზის მონაკვეთის მშენებლობისათვის RCIP/CS/QCBS-17 ხელშეკრულებისა;

ა.ვ.ბ) E-60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ნატახტარი-რუსთავის (თბილისის შემოვლითი გზა) მონაკვეთის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისა და დეტალური პროექტის მომზადების შესახებ RCIP/CS/QCBS-19 ხელშეკრულებისა;

ა.ვ.გ) ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების, დეტალური პროექტის, გარემოზე შეფასების, მიწის შესყიდვისა და განსახლების დეტალური გეგმის და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება E-70 ავტომაგისტრალის ბათუმის შემოვლითი-სარფის (თურქეთის საზღვარი) გზის მონაკვეთის მშენებლობისათვის RCIP/CS/QCBS-19 ხელშეკრულებისა;

ა.ვ.დ) დეტალური პროექტის, სატენდერო დოკუმენტაციის, გარემოზე ზემოქმედების შეფასების, მიწის შესყიდვისა და განსახლების დეტალური გეგმის

მომზადება ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის შიდასახელმწიფოებრივი გზის (50 კმ) რეაბილიტაციისათვის RCIP/CS/QCBS-15 ხელშეკრულებისა;

**ა.ზ)** აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ დაფინანსებული ბათუმის შემოვლითი გზის პროექტი (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 20 სექტემბრის №1295-ის დადგენილებით);

**ა.თ)** აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ დაფინანსებული მეორადი გზის გაუმჯობესების პროექტი (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 20 სექტემბრის №1293-ის დადგენილებით);

**ა.ი)** აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის (AIIB) მიერ დაფინანსებული ბათუმის შემოვლითი გზის პროექტი (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 20 სექტემბრის №1294-ის დადგენილებით);

**ა.კ)** ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) მიერ დაფინანსებული საქართველო აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალი A/B (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 ივნისის №6369-ის და 2014 წლის 20 თებერვლის №2031-III დადგენილებით), გარდა ამ პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი:

**ა.კ.ა)** საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი (ასაქცევი)-სარფის (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის 1) ფოთი-გრიგოლეთი-ქობულეთის შემოვლითი გზის მონაკვეთის მშენებლობისთვის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადება და 2) გრიგოლეთი-ქობულეთის შემოვლითი გზისა და ფოთი-გრიგოლეთის მონაკვეთების დეტალური პროექტირების, სატენდერო დოკუმენტების, გარემოსდაცვითი და განსახლების დოკუმენტების მომზადების შესახებ GEWH/CS/QBS-01 ხელშეკრულებისა.

**ბ)** დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის **ლევან კუპატაშვილის** საკოორდინაციო პროექტებია:

**ბ.ა)** მსოფლიო ბანკის (WB) მიერ დაფინანსებული აღმოსავლეთ - დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის დერეფნის გაუმჯობესების პროექტი (EWHCIP) (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 13 აპრილის N4943-III დადგენილებით);

**ბ.ბ)** ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) მიერ დაფინანსებული საქართველოს სატრანსპორტო კომუნიკაციის პროექტი (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 9 თებერვლის N264-III დადგენილებით);

**ბ.გ)** ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) მიერ დაფინანსებული საქართველოს აღმოსავლეთ - დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალი II (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 13 აპრილის N4942 -III დადგენილებით);

**ბ.დ)** ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) მიერ დაფინანსებული საქართველოს სატრანსპორტო კომუნიკაციის ბ პროექტი (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 20 სექტემბრის N1290-ის დადგენილებით);

**ბ.ე)** მსოფლიო ბანკის (WB) მიერ დაფინანსებული აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მე-4 პროექტის (EWHIP4) (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 10 ივლისის N809-რს დადგენილებით) ფარგლებში განსახორციელებელი:

**ბ.ე.ა)** ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთის მშენებლობისთვის დეტალური პროექტის მომზადების მომსახურების შესახებ EWHIP-4/CS/QCBS-03 ხელშეკრულება;

**ბ.ე.ბ)** ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისა და დეტალური პროექტის მომზადება რუსთავი-წითელი ხიდის და რუსთავი-სადახლოს გზების განახლების შესახებ EWHIP-4/CS/QCBS-05 ხელშეკრულება;

**ბ.ე.გ)** ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადება თბილისი-ბაკურციხის, წნორი-ლაგოდეხის გზების განახლებისათვის და დეტალური პროექტის მომზადება

თბილისი-საგარეჯოს და საგარეჯო-ბაკურციხის გზების განახლების შესახებ EWHIP-4/CS/QCBS-06 ხელშეკრულება;

ბ.ე.დ) ჟინვალი-ლარსის მონაკვეთის წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისა და ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადებისა და ქვეშეითი-კობის მონაკვეთის მშენებლობისათვის დეტალური პროექტის მომზადების შესახებ EWHIP-4/CS/QCBS-04 ხელშეკრულება;

ბ.ე.ე) წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების და ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადება სამტრედია-ზუგდიდის შემოვლითი გზისთვის (ანაკლიის ღრმაწყლოვან პორტთან მისასვლელი გზის ჩათვლით) EWHIP-4/CS/QCBS-07 ხელშეკრულება;

ბ.ე.ვ) დროზე დაფუძნებული საკონსულტაციო მომსახურების EWHIP-4/CS/ICS-10 ხელშეკრულება;

ბ.ვ) აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ დაფინანსებული საგზაო დერეფნის საინვესტიციო პროგრამა - პროექტი I (RCIP) (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2009 წლის 17 ნოემბრის N2087 –II ს და 2012 წლის 25 მაისის №6298–II დადგენილებებით) ფარგლებში განსახორციელებელი:

ბ.ვ.ა) დეტალური პროექტის, სატენდერო დოკუმენტაციის, გარემოზე ზემოქმედების შეფასების, მიწის შესყიდვისა და განსახლების დეტალური გეგმის მომზადება ხევი-უბისა-შორაპანი-არგვეთა (E60 ავტომაგისტრალი) გზის მონაკვეთის მშენებლობისათვის RCIP/CS/QCBS-17 ხელშეკრულება;

ბ.ვ.ბ) E60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ნატახტარი-რუსთავის (თბილისის შემოვლითი გზა) მონაკვეთის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისა და დეტალური პროექტის მომზადების შესახებ RCIP/CS/QCBS-19 ხელშეკრულება;

ბ.ვ.გ) ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების, დეტალური პროექტის, გარემოზე შეფასების, მიწის შესყიდვისა და განსახლების დეტალური გეგმის და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება E-70 ავტომაგისტრალის ბათუმის შემოვლითი-სარფის (თურქეთის საზღვარი) გზის მონაკვეთის მშენებლობისათვის RCIP/CS/QCBS-19 ხელშეკრულება;

ბ.ვ.დ) დეტალური პროექტის, სატენდერო დოკუმენტაციის, გარემოზე ზემოქმედების შეფასების, მიწის შესყიდვისა და განსახლების დეტალური გეგმის მომზადება ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის შიდასახელმწიფოებრივი გზის (50 კმ) რეაბილიტაციისათვის RCIP/CS/QCBS-15 ხელშეკრულება;

ბ.ზ) ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) მიერ დაფინანსებული საქართველო აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის A/B (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 ივნისის №6369-II ს და 2014 წლის 20 თებერვლის №2031-II ს დადგენილებით) პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი:

ბ.ზ.ა) საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი (ასაქცევი)-სარფის (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის 1) ფოთი-გრიგოლეთი-ქობულეთის შემოვლითი გზის მონაკვეთის მშენებლობისთვის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადება და 2) გრიგოლეთი-ქობულეთის შემოვლითი გზისა და ფოთი-გრიგოლეთის მონაკვეთების დეტალური პროექტირების, სატენდერო დოკუმენტების, გარემოსდაცვითი და განსახლების დოკუმენტების მომზადება) შესახებ GEWH/CS/QBS-01 ხელშეკრულება;

გ) მსოფლიო ბანკის (WB) მიერ დაფინანსებული შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების აქტივების მართვის პროექტის (SRAMP) (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 27 მაისის N5149–II დადგენილებით) ფარგლებში:

გ.ა) „საგზაო ქსელის შეფასება, დეტალური პროექტის მომზადება, გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის დოკუმენტების და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება გურიის რეგიონში რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის

შესრულებაზე დაფუძნებული კონტრაქტის განსახორციელებლად და მონიტორინგის/საზედამხედველო მომსახურების გაწევის“ ხელშეკრულების:

გ.ა.ა) საერთო კოორდინაცია და დოკუმენტაციაზე ხელმოწერა, მათ შორის, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისა და დეტალური პროექტის მომზადების ნაწილის საერთო კოორდინაცია, განახორციელოს დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, **ნუგზარ გასვიანმა**;

გ.ა.ბ) დოკუმენტაციის ვიზირება განახორციელოს დეპარტამენტის საავტომობილო გზების მიმდინარე და პერიოდული შეკეთების სამუშაოების კონტროლისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსმა (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) **გიორგი ორმოცაძემ**.

გ.ბ) გურიის რეგიონში რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის შესრულებაზე დაფუძნებული ხელშეკრულების:

გ.ბ.ა) საერთო კოორდინაცია და დოკუმენტაციაზე ხელმოწერა განახორციელოს დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, **ნუგზარ გასვიანმა**;

გ.ბ.ბ) დოკუმენტაციის ვიზირება განახორციელოს დეპარტამენტის საავტომობილო გზების მიმდინარე და პერიოდული შეკეთების სამუშაოების კონტროლისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსმა (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი), **გიორგი ორმოცაძემ**;

გ.გ) შესაბამისი პროექტის საერთო კოორდინაცია და დოკუმენტაციის ხელმოწერა განახორციელოს დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, **ნუგზარ გასვიანმა**.

დ) მსოფლიო ბანკის (WB) მიერ დაფინანსებული შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მე-2 პროექტის (SLRP II) (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 10 აპრილის №6007-IX დადგენილებით) ფარგლებში:

დ.ა) შესრულებაზე დაფუძნებული კონტრაქტი კახეთის რეგიონში - SLRPII/CW/ICB-10 და აღნიშნულთან დაკავშირებული ზედამხედველობის საკონსულტაციო მომსახურების SLRPII/CS/QCBS-05 კონტრაქტის ფარგლებში საერთო კოორდინაცია და დოკუმენტაციაზე ხელმოწერა განახორციელოს დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, **ნუგზარ გასვიანმა**, ხოლო დოკუმენტაციის ვიზირება განახორციელოს დეპარტამენტის საავტომობილო გზების მიმდინარე და პერიოდული შეკეთების სამუშაოების კონტროლისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსმა (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი), **გიორგი ორმოცაძემ**;

დ.ბ) შესაბამისი პროექტის საერთო კოორდინაცია და დოკუმენტაციის ხელმოწერა განახორციელოს დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, **ნუგზარ გასვიანმა**.

ე) მსოფლიო ბანკის (WB) მიერ დაფინანსებული შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მე-3 პროექტის (SLRP III) (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 30 ივლისის N2609-რს დადგენილებით) ფარგლებში:

ე.ა) შიდა გზებისთვის მიკროსაწარმოების შექმნის თაობაზე ტექნიკურ - ეკონომიკურ კვლევებთან დაკავშირებული კონტრაქტების საერთო კოორდინაცია განახორციელოს დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, **ნუგზარ გასვიანმა**, ხოლო აღნიშნული კონტრაქტების (მათ შორის გასაფორმებელი) ფარგლებში დოკუმენტაციის ვიზირება განახორციელოს საავტომობილო გზების მიმდინარე და პერიოდული შეკეთების სამუშაოების კონტროლისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსმა (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი), **გიორგი ორმოცაძემ**;

ე.ბ) ბაკურციხე-წნორის (16 კმ) და გურჯაანი (ჩუმლაყი)-თელავის შემოვლითი გზის (30 კმ) მონაკვეთების მშენებლობისთვის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების, წინასწარი პროექტირების, გარემოს და სოციალური ზემოქმედების შეფასების და

სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება, პროექტირება და მშენებლობის ტიპის კონტრაქტებისთვის და ჟინვალი-ბაკურციხე-წნორის შიდასახელმწიფოებრივი სატრანსპორტო კორიდორის სტრატეგიული მნიშვნელობის შეფასების შესახებ SLRP III/CS/QCBS-04 ხელშეკრულების საერთო კოორდინაცია და დოკუმენტაციის ხელმოწერა განახორციელოს დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, **ლევან კუპატაშვილმა**;

**ე.გ)** სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და მასზე განსახორციელებელი საზედამხედველო მომსახურების ხელშეკრულებების საერთო კოორდინაცია და დოკუმენტაციის ხელმოწერა განახორციელოს დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, **ნუგზარ გასვიანმა**;

**ე.დ)** გარდა ამ ქვეპუნქტის „ე.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, საერთო კოორდინაცია და დოკუმენტაციის ხელმოწერა განახორციელოს დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, **ნუგზარ გასვიანმა**.

2. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე - ტექნიკურ მდივანსა და თავმჯდომარის მოადგილეებს შორის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების ან/და მათი დაფინანსების შედეგად გაფორმებული ხელშეკრულებების განხორციელებაზე საკოორდინაციო უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ“ დეპარტამენტის თავმჯდომარის 2018 წლის 5 თებერვლის №40 ბრძანება.

3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

ირაკლი ქარსელაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარე

